ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:ბ48.482109021
თარიღი:31/03/2021

საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამის ქვეპროგრამების ასიგნებების მუხლებს შორის თანხის გადანაწილებისა და ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტის, „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 69-ე მუხლის მე-2 - მე-3 პუნქტის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 ოქტომბრის №28 დადგენილების მე - 2 მუხლის მე-2 - მე-3 პუნქტისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 27.05.2008 წლის №456 ბრძანების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. განხორციელდეს საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამის ქვეპროგრამების ასიგნებების მუხლებს შორის თანხის გადანაწილება და დამტკიცდეს ცნობა №1 31.03.2021 წ. (თან ერთვის).

2. დაევალოს საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურს განახორციელოს აღნიშნული ცვლილება ბიუჯეტის მართვის ელექტრონულ სისტემაში (E-budget) და უზრუნველყოს ბიუჯეტში გათვალისწინება უახლოესი ცვლილებების დროს (ფ. გაგოშიძე).

3. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11) კანონით დადგენილი წესით.

გრიგოლ იოსელიანი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი